ხელშეკრულება №08/07
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ონი 11 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ. ონში დავით აღმაშენებლის მოედანი №1, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის შალვა ჯაფარიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ ი/მ "თეიმურაზ მეშვილდიშვილის" სახით (შემდგომში მიმწოდებელი) საქ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხედმოწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქართველოს მთავრობის 02.08.2013 წლის №1016 განკარგულების საფუძველზე განახორციელოს **სოფ. ღებში (I უბანი) მდინარე რიონზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები** (CPV კოდი 45200000) ;

2.2. შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი, რომელიც შემსრულებლის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, მათ ხარისხს და პროექტთან შესაბამისობას, რის შესახებაც ადგენს აქტს.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

3.3 ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას გაუწევს შემსყიდველის მიერ დადგენილი პირი.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მოცემული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.3 ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება.

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების დღიდან **60 (სამოცი) დღე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. (10 დღის ვადაში)

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზების მითითებით.

---------- _____

ონის მუნიციპალიტეტი ONI MUNICIPALITY

5.5 წინასწარი ანგარიშსწორება მხარეთა შორის იწარმოებს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სახელშეკრულებო ღირებულების ზღვრულ 30%-ის ფარგლებში საბანკო/სადაზღვევო გარანტის წარმოდგენის შემთხვევაში.

5.6 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ ანგარიშსწორების საბანკო/სადაზღვევო გარანტია უნდა აღემატებოდეს სამუშაოს დასრულების ვადას 30 დღით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარისსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გადარიცხვით, შესრულებული სამუშაოს შესახებ მოთხოვნის, ფორმა №2-ის, ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

6.4 ეტაპობრივი და საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

8.ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

8.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **51401** (ორმოცდათერთმეტი ათას ოთხას ერთი) ლარს.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

10. უფლებების გადაცემა

101 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

11.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით, (5 დღით ადრე) უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტი. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ ადმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მომწოდებელს ფაქტობრივად მიღებული სამუშაოს ღირებულება პირგასამტეხლოს გადახდის შემდგომ.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

13.3. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი მონაცემები აღმოჩნდება ყალბი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

13.6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაო.

14.ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

/შალვა ჯაფარიძე/

ქ. ონი, დ.აღმაშენებლის ფოჩხა №1
ტელ.: (591) 010333

ს/კ №237978275

ანგ. № **GE62LB0120115527055000**

ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი
ბ.კ. **LBRTGE22**

მიმწოდებელი:

ი/მ "თეიმურაზ მეშვილდიშვილი":

/თეიმურაზ მეშვილდიშვილი/

თბილისი, ხუდადოვის ქ.№3 კორ.2 ბ.6

ს/კ 01002015331

ანგ. №**GE53BG0000000850510600**

ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბ.კ. **BAGAGE22**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №4-1

სოფ. ღები – I უბანი. ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა

საფუძველი: სამუშაოთა მოცულობების უწყისი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 51,40 ათასი ლარი

შედგენილია 2013წლის IIკვ. ფასებში

№	შიფრი	სამუშაოს და ხარჯების დასახელება	განზ.	საშტატო რაოდენობა	ერთეული ღირებ-ულება ლარი	საერთო ღირებ-ულება ლარი
1	2	3	4	5	6	7
		გაბიონის კედელი				
4	თ.1.8-10	გაბიონის ყუთების საფუძველი-რენო მატრასის ზომ. 2X4X0.5(h)მ მავთული 2.7მმ 138,1+0,0354*38,25	ც	25	139,45	3486
5	თ.1.8-5	გაბიონის ყუთები ზომ. 2X1X1 მ მავთული დ-2.7მმ. (მაკაფერი) 75,4+0,0175*38,25	ც	385	76,07	29287
6	თ.1.8-13	გაბიონის ყუთების გადასაბმელი (სამონტაჟო) მავთული დ-2.2მმ	კგ	174,0	3,4	592
8	1-81-4	შემოტანილი ქვების ჩაწყობა ლეიბებში ხელით 1,43*4,6	$მ^3$	1000	6,58	6580
9	1-29-6 1-29-12	მდინარის კალაპოტში დამუშავებული გრუნტის გადაადგილება ბულდოზერით გაბიონის კედლის მხარეს გრუნტის გადაადგილებით 20მ-ზე	$მ^3$	356	1,31	466
10	1-29-6 1-29-12 კ=4	მდინარის კალაპოტში გრუნტის დამუშავება ბულდოზერით და დამუშავებული გრუნტის გადაად-გილება 50მ-ზე, სიცარიელების შესავსებად კედლის უკანა მხარეს (8,9+6,28*4)*35,34*0,001	$მ^3$	2380	1,20	2856
		სულ	ლარი			43267
		ზედნადები ხარჯები	%	10		4327
		სულ	ლარი			47594
		სახარჯთაღრიცხვო მოგება	%	8		3808
		სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი			51401